საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალი

MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA
LEPL SOCIAL SERVICE AGENCY
Ajara Autonomous Republic Branch

KA030439811967717

6000, ბათუმი, ტბიდზის ქ. №2ა. ტელ: 24 01 78; 24 01 83; 24 01 75; 24 01 76
6000, 2a, Tabidze Street, Batumi, Georgia. Tel:24 01 78; 24 01 83; 24 01 75; 24 01 76

#04-15/395
01 / მარტი / 2017 წ.

ფაქტმეტრის რეგიონულ ანალიტიკოსს
ქალბატონ ნაზიბროლა რეხვიაშვილს
ტელ: 577200001

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელწმიფო პროგრამას, 2014 წლის 14 აპრილის საქართველოს მთავრობის №291 დადგენილებით, დაემატა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების ქვეპროგრამა.

ამ ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ შემდეგი კატეგორიის ბავშვიანი ოჯახები, რომლებიც საჭიროებენ გადაუდებელ პირველად დახმარებას:

ა) რეინტეგრაციას დაქვემდებარებული ბავშვების ოჯახები;

ბ) რეინტეგრირებული ბავშვის ოჯახი, თუკი დახმარების შესახებ განცხადების გაკეთების დროისათვის რეინტეგრაციის განხორციელებიდან არ არის გასული 90 კალენდარული დღე;

გ) ოჯახი, რომელშიც იმყოფება 1 ან მეტი შშმ ბავშვი;

დ) ბავშვიანი ოჯახი, რომელიც განცხადების შეტანის მომენტში რეგისტრირებულია " სოციალურად დაუცველი ოჯახების მოანაცემთა ერთიან ბაზაში" და მინიჭებული აქვთ 65 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულა.

პროგრამა ითვალისწინებს პირველადი საჭიროების მქონე ნივთებით დახმარებას. (მაგ: საწოლი, სკამი, მაგიდა ტანსაცმელი, სასკოლო ნივთები და ა. შ).

კრიზისულ ოჯახზე გასაცემი დახმარების ოდენობა არ იცვლება ოჯახში შვილების რაოდენობის მიხედვით და იგი შეადგენს 1 ოჯახზე დაახლოებით 1000 ლარს.

ამ პროგრამაში ჩართვისათვის, ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი მიმართავს სოციალური მომსახურების სააგენტოს განცხადებით, სოციალური მუშაკის მიერ ხდება ოჯახის შეფასება, საჭიროების განსაზღვრა და შესაბამისი დასკვნის მომზადება, რომელიც იგზავნება სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრალურ აპარატში და განიხილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისიის მიერ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მასშტაბით ამ პროგრამაში ჩართული იყო:

	2014 წელი	2015 წელი	2016 წელი
ქ. ბათუმი	11 ოჯახი	21 ოჯახი	39 ოჯახი
ქობულეთი	2 ოჯახი	6 ოჯახი	4 ოჯახი
ხელვაჩაური	4 ოჯახი	3 ოჯახი	6 ოჯახი
ქედა	4 ოჯახი	1 ოჯახი	2 ოჯახი
შუახევი	5 ოჯახი	1 ოჯახი	2 ოჯახი
ხულო	6 ოჯახი	8 ოჯახი	6 ოჯახი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის
უფროსის მოადგილე

რუსუდან სალუქვაძე